№ 222

სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 222

სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს,
ქართული დრამატიული დასი გამართავს საიუბილეო ბენეფისს სუფლიორის **ნ. გალუსტოვისას.**
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა
სამინელი შურის-ძიება
ფარსი 4 მოქმედებად, თარგმანი ნ. გალუსტოვისა.
დასასრულ
დივერტისმენტი
და
ლეკური
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გარგარელისა გარელისა, რიონელი, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი კ. მესხი

სათავად-აზნაურო თეატრი
შაბათს, 1 ნოემბერს,
ალ. კავსაძის და ივ. მჭედლიშვილის ქართული საერო
ხორო
გამართავს
კონცერტს
ორ განყოფილებად.
ხორო შესდგება 21 კაცისაგან.
პროგრამა ახალის სიმღერებით არის შევსებული: სხვათა შორის, ბ-ნი კავსაძე შეასრულებს სოლოს **«სულო ბოროტო!»**
ანტრაქტებში დაუკრავს **საზანდარი.**
დასაწყისი $8^1/_2$ საათ.
ადმინისტრ. ივ. მჭედლიშვილი.
(5—უ.—1)

ისყიდება
13,000 მანათად ბანკში დაგირავებული სახლი 3 სართულიანის ფლიგელითა და ბაღით. მიწა 218 ოთხ-კუთხი საჟენი. ანდრეევსკის ქუჩა № 4.
(3—188—2).

ტფილისი, 27 ოქტომბერი

მას აქედ, რაც ჩვენ პოლიტიკაზედ ხმა არ ამოგვიღია, ბევრი რამ საყურადღებო ამბავი მოხდა, მაგრამ, საზოგადოდ რომ ვთქვათ, ამ ამბებს ბევრი რამ ცვლილება არ მოჰყოლია. ევროპა მაინც ორ დიდ ბანაკად გაყოფილი დარჩა, ცალ მხრივ სამთა კავშირი და მეორე მხრივ ორთა კავშირი დღესაც ჰსუფევს და, როგორც ჰგონიათ ყველას, ჰთავდებობს მშვიდობიანობის შეურყევლობას.

მართალია, სამთა კავშირს როგორღაც მოულბა ძირი და ორთა კავშირს უფრო გაუმაგრდა შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტის პეტერბურგში ყოფნისა, მაგრამ არც ერთი დასუსტდა და არც მეორე გამაგრდა ისე, რომ განსაცდელის რისამე მოლოდინი გაძლიერებულიყოს. აღმოსავლეთის საქმე, ასე უბედურად აღძრული საბერძნეთისაგან, ჯერ ხანად არასფერს შიშს არ მოასწავებს. როგორც ალაპლაპდა, ისეც დანელდა. რაკი იგი დიპლომატიის სადღეჭად გახდა, დღეს თუ ხვალ დაიღეჭება კიდეც და ვინ იცის, მოსანელებლად საკმაოდ დაღეჭილი გადაეცემა თუ არა მერმისს. დიპლომატიას სასახელოდ ისიც ეყოფა, რომ დღეს გადასაწყვეტად გამწვავებული საქმე სამერმისოდ გადიდვა სისხლდაუღვრელად და ომის აუტეხლად. დღეს კი ესეო და მერმისმა თავისი იცოდესო, აი თავი და ბოლო დღევანდელ დიპლომატიის მოქმედებისა ოსმალთ-ბერძენთა საქმის გამო, რომელმაც კინაღამ ცეცხლი არ წაუკიდა მთელს აღმოსავლეთს და აქედამ მთელს ევროპასა. ჯერ ხანად აღმოსავლეთიც და ევროპაც მშვიდობით გადარჩა მოსალოდნელს განსაცდელსა. ესეც ნუგეშია მშვიდობის მოყვარეთათვის.

ხოლო ევროპას შიგ გულში რაღაც ბალღამი უტრიალებს, გული გულის ადგილას მაინც არა აქვს, რაღაც ნაღველა აქვს გასიებული და დიდს ფიქრშია —ხვალინდელი დღე რას მოიტანსო. ამისთანა მდგომარეობა საქმეთა არავის ისე ხელს არ უწყობს, როგორც ინგლისსა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მას აქედ, რაც სამთა კავშირი შეიკრა ევროპაში და ამის გამო რუსეთმა და საფრანგეთმა ერთმანეთისაკენ მიიწიეს სამეგობროდ, ინგლისი ცალკე გავიდა, არც ერთს მიემხრო, არც მეორეს და მიეცა პოლიტიკას ,,свободныхъ рукъ''-ს, როგორც რუსები იტყვიან. ინგლისმა კარგად იცის თავისის თავის ფასი. იცის, რომ არც ერთი მხარე ამ ორ ბანაკთა შორის ცხვირ ზევით არ აიცილებს, რომ იგი მიიმხროს და მით მეორეზე გადაჭარბებით გაძლიერდეს. საქმე მარტო იმაშია, რომელი მხარე უფრო მეტს დაჰპირდება, უფრო მეტს დაახარბებს. აი, იმ დღიდამ ამ დღემდე ინგლისი ამ ორ ბანაკ შუა სდგას ხელ შეუკვრელი და ელის ვინ უფრო ბევრს გაიმეტებს ინგლისის სახეიროდ, რომ თავისუფალი ხელი იქით გაიწოდოს.

რა თქმა უნდა, მას აქედ, რაც ევროპას ორ ბანაკად გაყოფა შეემჩნია, ასეთი სარბიელი თვალწინ გადაეშალა ინგლისს. ინგლისმა ის ბედნიერი შემთხვევა არ დაჰკარგა და ამ სარბიელზე ფეხი მაგრად მოიკიდა და დღესაც არა ჰფიქრობს ამ სარბიელის წრის გარედ ერთი მტკაველი მაინც გადააბიჯოს. ამასობაში, როცა ეს ორი ნაწილი ევროპისა ძალ-ღონით თითქმის ტოლნი და თანასწორნი არიან და, მაშასადამე, ერთმანერთის ფიქრით ვერაფერსა ჰბედავენ, ინგლისი თავისს საკუთარს საქმეებს თავისებურად და თავისს სახეიროდ იკეთებს. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, თუნდ მარტო აფრიკა ავიღოთ მაგალითად. ყველას მოეხსენება, რომ დღეს აფრიკა სანუკბარ ლუკმად გაუხდა მთელს ევროპას. გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი,—ყველანი იმის ცდაში არიან, რომ აქ, რაც შეიძლება, მეტი ადგილები დაიჭირონ და დაიჩემონ და, რაც შეიძლება, კარგი. აქ როგორც ინგლისს, ისე სხვას არავის ალჩუ არ უჯდება. გერმანიასაც ცალკე უჭირვეულდება და საფრანგეთსაც, არც ერთის განსაკუთრებული შიში არა აქვს, ერთსაც უპირობს თლას და მეორესაც. ვერც გერმანიას, ვერც საფრანგეთს იმოდენა ხმა ვერ ამოუღიათ, რომ ინგლისი შეაფერხონ და ხალისი მოუკლონ აფრიკაში მეტის მეტად გაძლიერებისა და განზე ფეხის გადგმისა. გერმანია გაუძალიანდება, ინგლისი მაშინვე საფრანგეთს მიემხრობა, საფრანგეთი გაუჭირვეულდება, გერმანიისაკენ გადავა.

ინგლისი ერთი ძლიერთაგანი და პირველ ხარისხოვანთაგანი ქვეყანაა. ამისი გადასვლა ან ერთისა, ან მეორე მხარესაკენ მოასწავებს ერთისა მეორეზე იმოდენად გაძლიერებას, რომლის წინაშე, ერთ-ერთი ანგარიშში ჩასაგდები აღარ იქნება. მაშინ ევროპაში და, მაშასადამე, მთელს ქვეყნიერობაზე იგი მხარე იბატონებს, საითკენაც ინგლისი იქნება. ამისი შიში ორსავე ბანაკსა აქვს და ადვილად მისახვედრია რად არის დღეს ინგლისი თვალში ძელსავით ერთისა და მეორისათვისაც.

ესეთი ყოფა ინგლისისა ვერაფრად უნდა ეჭაშნიკებოდეს არც სამთა კავშირს. და არც ორთა კავშირს. აშკარაა, ვერც ერთი მხარე ვერ აიტანს და შეითვისებს ასეთს მდგომარეობას, რომელიც ინგლისს დღეს ამისთანა უპირატესობას აძლევს ევროპიის პოლიტიკის ავკარგიანობაში. იქნება ვცდებოდეთ და ჩვენ-კი ასე გვგონია, რომ ამისთანა ყოფა-ცხოვრება ევროპისა მთელს საბელს პოლიტიკისას ხელთ აძლევს ინგლისსა, თუმცა იგი მარტოდ მარტოდ არის გასული და ყველას შორს უდგას. ამით აიხსნება ის, რომ ინგლისის ხმას ევროპიის საქმეებში ასეთი ძალა და გავლენა აქვს დღეს. ევროპას უმძიმს, თითქო ჰთაკილობს კიდეც, რომ ინგლისმა ასეთი რიხიანი ადგილი დაიჭირა ევ-

---

ფელეტონი

ნაწყვეტი

იმად მიყვარხარ, სიმართლევ,
ვერ გფარავს ცისა გრიალი,
ვერც ნეტარება სამოთხის,
ვერც ოქრო-ვერცხლის ბჭყვრიალი,
ვერც ძმის, მახლობლის, მოკეთის
და გულის სატრფოს ტრფიალი.
მაინც თავს იჩენს ოდესმე
შენისა დროშის ფრიალი!..

ვ. თ—შვილი

◆

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

ფოტოგრაფია.

ეს დარგი სამეცნიერო განყოფილებისა მომხიბლველ რასმეს წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდად საინტერესო და საყურადღებოა ელექტრო-ტეხნიკურ ქარხნების ნიმუშების მახლობლად გაშლილი სურათები. ფოტოგრაფიული ხელობა დიდი ხანი არ არის რაც გაჩნდა. ფოტოგრაფიის ისტორია იწყება 1830 წლიდგან, კამერ ობსკურის დახმარებით შემუშავებულ იქნა ფოტოგრაფიული ხელობა, რომელზედაც დიდად ჰშრომობდნენ გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისის მეცნიერები, განსაკუთრებით ნიეპს და დაგერრ. დაგერროტაპიის ფოტოგრაფიულ წესის ხმარება საფრანგეთის აკადემიამ საყოველთაოდ გამოაცხადა 1839 წელს. ეს დაგერროტაპიის ფოტოგრაფიული წესი დაფუძნებულია დაგერის მიერ მოგონილ „დაფარულ" გამოსახულობის გამორკვევა-გამოჩენაზედ. ამის შემდეგ პროგრესიულად მიდის ფოტოგრაფიულ ხელობის განვითარება. ყოველ მხრიდგან ემატება ცოტ ცოტა გაუმჯობესებ-განკარგება, რომელიც ერთად შეერთებით ფოტოგრაფიულ ხელოვნებას უმაღლესს წერტილამდის ანვითარებს. ფოტოგრაფიამ თავისს საგანს უკვე მიაღწია. დღეს სულ სხვა სამეფოში ამოჰყო თავი, დიდად საინტერესო დარგი მეცნიერებისა გაუხდა საკვლეველ საგნად. ჩვენ ვამბობთ რენტგენის სხივებით სურათის გადაღების შესახებ. რენტგენის სხივები რაც არის, ამ ჟამად ყველამ იცის. აქედგან ფოტოგრაფიული ხელოვნება ჰკიდებს ხელს იმას, რასაც წინად სრულიად ვერ ჰხედავდა და ვერ სწვდებოდა; ეხლა ფოტოგრაფიას დანარჩენისთვის უხილავ ნივთებთან აქვს საქმე. ვინ იცის ეს ახალი გზა სადამდის მიიყვანს ხელოვნებას და რას შესძენს საერთოდ კაცობრიობას.

ფოტოგრაფიულ ხელოვნების გამოგონებამ როდი შეზღუდა თავის გავრცელების ფარგალი, ფოტოგრაფია, ერთსა და იმავე დროს ვრცელდებოდა თითქმის ყველა წარჩინებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებში. რუსეთსაც არ დაუგვიანებია ფოტოგრაფიის შემოღება. 1841 წელს რუსეთში, პეტერბურგში, საფრანგეთის ლიტოგრაფებმა დავინიომ და ჶოკონიემ გაჰმართეს პირველი დეგარრეტოპიული სახელოსნო. ამის შემდეგ სხვებმაც (რასაკვირველია, უცხო ქვეყნელებმა) დააარსეს ფოტოგრაფიები, უფრო გაუმჯობესებული და მიმზიდველი. რუსმა გაჰმართა პირველი ფოტოგრაფია მხოლოდ 1850 წ. ეს დაგერრის თანამედროვე ფოტოგრაფი, ლევიცკი, დიდი მშრომელი, გამოცდილი და ხელოვნების მოყვარული კაცი იყო: თავისის ათას გვარ ცდით საზღვარ-გარედაც-კი გაითქვა სახელი. ამის შემდეგ გადის ათიოდე წელიწადი და პროვინციებსაც ეპიდემიასავით მოედო ფოტოგრაფიების დაარსება.

კიევის გამოფენაზედ სურათები აქვს წარმოდგენილი ერთს უუძველესს ფოტოგრაფს, დე-მეზერს, რომელმაც თავისი სახელოსნო დააარსა 1865 წ. სამხრეთ რუსეთში თითქმის პირველი ფოტოგრაფი დროს კვალობაზედ დე-მეზერია. დე-მეზერს გამოფენილი აქვს ვერცხლის ქაღალდზედ დახატული ფოტოგრაფიული დიდი სურათი. ეს სურათი კიევში პირველად დამზადდა მხოლოდ წელს. თუ ამდენს ხანს შეხვდებოდით რუსეთში სადმე, ეს ორგვარ მუშაობას წარმოადგენდა, ე. ი. ამათში იყო მოთავსებული ადგილობრივი და საზღვარ-გარეთის შრომა: რუსეთიდგან იგზავნებოდა ნეგატივი და სურათები ქაღალდზედ მზადდებოდა უცხოეთში. ამ გვარად დამზადებული სურათი ბრუნდებოდა ისევ რუსეთში და ურიგდებოდა შემკვეთელთ. კიდევ ვახსენებთ ერთს ფოტოგრაფს და ფოტოგრაფიულ ხელოვნებასაც მოვრჩებით. ფოტოგრაფ უზემსკის აქვს ერთი (სხვათა შორის) დიდი შესანიშნავი სურათი. ეს გახლავთ სურათი „პატარა ჰამლეტისა"—პატარა ყმაწვილისა, რომელსაც აცვია ჰამლეტის მშვენიერი ტანისამო-

---

*) იხ. „ივერია" № 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპაში, არავის ერიდება, არავისი ფიქრი და შიში არა აქვს და დაუბრკოლებლად თავისს გულის წადილს არხეინად ისრულებს, რამოდენადაც დრო და გარემოება შესწევს.

აქ არის მიზეზი, რომ დღეს ევროპაში ინგლისზე ბევრი გაჯავრებული ჰლაპარაკობს. გაზეთებში თითქმის ის აზრიც მოისმის, რომ მთელი ევროპა-უნდა შეერთდესო ინგლისის ასალაგმავად და უკან დასაწევადა, თორემ ძალიან თავს გავიდა, ბევრს რაღასაც ოსტატობს და ევროპას არ არსვენებსო. ინგლისმა კარგად იცის, რომ ევროპა, რომელიც ერთმანეთში ესე აწეწილ-დაწეწილია, ერთმანეთში ასე მოურიგებელი, ერთმანეთზედ სამტროდ გადაკიდებული, თავისს დღეში ერთობას ვერ მოახერხებს და არხეინად ყურს უგდებს გაზეთების ვაისა და ვუისა. იგი, როგორც წინად, ისეც ეხლა განზე სდგას, თავისს საქმეებს სხვის დაუკითხავად ასე თუ ისე არიგებს და ასე იქნება იმ დრომდე, ვიდრე რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა იძულებულ არა ჰყოფს პირი ან იქით მიიბრუნოს, ან აქეთ. ევროპის ორ ბანაკად გაყოფამ შესაძლოდ გაუხადა ინგლისს პოლიტიკა **„СВОБОДНЫХЪ РУКЪ“** და რუსეთისა და საფრანგეთ შორის საქვეყნოდ გამოცხადებულმა კავშირმა ამ ნაირ პოლიტიკას უფრო მტკიცე საფუძველი დაუდვა. ჩვენა გვგონია, რომ პოლიტიკა ინგლისისა სხვათა შორის იმის დაუღალავ ცდაში უნდა იყოს, რომ ეს ორი ბანაკი ევროპისა არ დაიშალოს რაც შეიძლება დიდხანს და მით ინგლისს დღევანდელი უპირატესობა ხელიდამ არ გამოეცალოს და ვგონებთ ასეც იქცევა ინგლისი დღეს.

ბევრს-კი ჰგონია, რომ საფრანგეთისა დ̃ რუსეთის კავშირი უნდა სწყენოდა ინგლისსაო. პირ-იქით, მისთვის ეს სასურველიც უნდა ყოფილიყო, რადგანაც სამთა კავშირი და ეს ორთა კავშირი ეთმანეთის მუქარაა და სადა ორნი თანასწორნი მუქარით უდგანან ერთმანეთს პირისპირ, იქ ხერხიანი მესამე ყოველთვის მოგებაშია. სწორედ ამისთანა მესამე ინგლისია დღეს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ იგი მაგრად ებღაუჭება მას, რაც ბედმა ასე ადვილად მიჰმადლა და დაულოცა.

* * *

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ კავკასიის მასის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის გრენადერთა ჯარის შტაბს-კაპიტანი ესაძე—კავკასიის ზურგის ჯარში; კოვენის ციხის ქვეითა მეორე რაზმის პოდპორუჩიკი ჩრდილელი მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის სახელობის მე—81 აპშერონის ქვეითა რაზმში; და ბაშკადიკლარის ზურგის ბატალიონის პოდპორუჩიკი ძნელაძე—მიხეილის ციხის არტილერიაში.

გამწესებულ იქმნენ ქუთათელაძე—ახალ ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელედ და დავით თუთაევი—ტფილისის საგუბერნიო ხაზინის კანცელარიის მოხელედ.

დანიშნულ იქმნა: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-V ხარისხის მოხელე ნიკოლოზ ქარუმიძე—იმავე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე IV ხარისხის მოხელედ.

ახალი ამბავი

⁂ რადგანაც ამ რამდენისამე ხნის წინად მთავრობამ აღკრძალა კავკასიიდგან ყირიმში ვაზის ან ყურძნის გადატანა, 11 ოქტომბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ბრძანება გასცა, რომ ხსენებულ რკინის გზის სადგურზედ არ მიიღონ ხოლმე ვაზი ან ყურძენი ყირიმში გასაგზავნად. მთავრობამ იმიტომ აღკრძალა ყურძნისა და ვაზის გადატანა ყირიმში, რომ ჩვენს ქვეყანაში ფილოქსერა ძალიან არის გავრცელებული და შეიძლება ვაზთან ერთად ისიც გადაიტანონო.

⁂ რადგანაც ამ ჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზით აუარებელი ჯარი გადაჰყავთ და გადმოჰყავთ, ამ გზას იმდენი საქონლის ვაგონი აღარ რჩება, რომ სხვა-და-სხვა საქონელი ჰზიდოს ხოლმე. ამიტომ ყველა სადგურზედ აუარებელი გასაგზავნი საქონელია შეგროვილი და პატრონები თითქმის ყოველ დღე სთხოვენ რკინის გზის გამგეობას, ვაგონები მოგვეცით ჩვენის საქონლის გასასტუმრებლადაო. ბევრი ისეთი საქონელია, რომ დიდის ხნის შეჩერებისაგან სადგურებზედვე ფუჭდება და ლპება.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. კ. სავიცკი, რომელიც სამოქალაქო ნაწილს განაგებს, გადაყვანილ იქმნა იმავე სასამართლოს სააპელაციო განყოფილებაში, ხოლო იმის ალაგას დანიშნულ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოდამ ახლად გადმოყვანილი ბ-ნი დ. ვ. ლიტოვჩენკო.

⁂ გენერალ-მაიორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც თერგის ყაზახთა ჯარში ირიცხებოდა, დანიშნულ იქმნა კავკასიის ყაზახთა მეორე დივიზიის პირველის ბრიგადის უფროსად.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ პეტერბურგიდგან, რომ მეურნეობის სამინისტრომ ნება დართო რუსეთის შინაურ ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას, რომ მან თავისი განყოფილება დააარსოს ტფილისში და შემდეგ, თუ საჭირო იქმნება, კავკასიის სხვა ქალაქებშიაცაო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ ატყობინებენ დუშეთის მაზრის სოფ. საშაბუროდგან, რომ „ამ დღეებში ღამე, წამალი აჭამეს დ. კეზელის ქოფაკ ძაღლებს იმ დროს, როცა სახლის პატრონი შინ არ იყოო. გაიგო თუ არა ეს ამბავი კეზელმა, მაშინვე კაცი აფრინა დუშეთში ბეითალის ჩამოსაყვანად და მოწამლულ ძაღლების შესამოწმებლად, მაგრამ ბეითალი შინ არ დახვედროდა. გაიარა რამდენმამე დღემ ამ ამბის შემდეგ და სახლის ქვედა სართულის ჭერში აღმოჩნდა იმისი ნიშნები, რომ ვიღასაც სახლის გადაწვა სდომებია. ბოროტ განმზრახველს ანთებულის სანთლითა თუ ლამპარით სდომებია ცეცხლის წაკიდება, როგორც გაშავებულსა და გარუჯულს ჭერის ფიცრებს ეტყობათ. სახლის ქვემო სართულში არავინა სცხოვრობდა და ამიტომ კარებები არ იკეტებოდა, ასე რომ კაცს ადვილად შეეძლო ჩასულიყო, თუ ძაღლები ხელს არ შეუშლიდნენო“.

⁂ გაზ. „კავკაზს“ სწერენ გორის მაზრის სოფ. ხურვალეთიდგან: „20 ოქტომბერს გლეხმა კოტე მინდიაშვილმა ისე სცემა ჯოხითა და მუშტით აზნაურს ნიკოლოზ ფარსადანის ძე ქარუმიძეს, რომ იგი მეორე დღესვე გარდაიცვალა. ადგილობრივმა ბოქაულმა უკვე აცნობა ეს ამბავი გორის ნაწილის გამომძიებელს და ბრალდებულის ამხანაგს. გამოძიება სწარმოებს“.

კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

25 ოქტომბერი

შაბათს, 25 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში კრება ჰქონდა კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. თავმჯდომარეობდა ტფილისის გუბერნატორი ა. თ. ბიკოვი. კრებას დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ოლქის ინტენდანტი გენერალ ლეიტენანტი ა. გ. ტარანოვსკი, კავკასიის სამხედრო სასამართლოს ბრალმდებელი გენერალ-მაიორი შჩერბოვიჩ-ვეჩორი, კავკასიის საპიორთა ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი მარიანოვი, ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორი გენერალ-მაიორი სმირნოვი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი იაკიმოვი და სულტან-კრიმ-გირეი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე გაკკელი, სასტატისტიკო კომიტეტის მთავარ-რედაქტორი ნ. კ. ზეიდლიცი, ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი, სასამართლო უწყების მოხელენი: პალატის ბრალმდებელი ე. ვ. ვასილიევი, ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე შარიგინი და დიდ ძალი ხალხი. კრება დაიწყო 8 საათსა და 10 წამს. ყოველთ უწინარეს თავმჯდომარემ აცნობა საზოგადოებას, რომ გარდაიცვალნენ—წევრნი: თავ. დ. ი. ავალიშვილი, ს. თ. ელენინი და კ. პ. კორნილოვიჩი. საზოგადოებამ განსვენებულთ პატივისცა ფეხზე წამოდგომით. შემდეგ საზოგადოების წევრებად ამორჩეულ იქმნენ ი. ს. პოზნიაკი, გ. ი. გძელიშვილი, ა. ა. მაქსიმოვიჩი, პ. ი. თუმანოვი, ვ. ლ. ველიჩკო, გ. ი. გვაზავა და ვ. ნ. ივანენკო.

ამის შემდეგ დაიწყო კითხვა თავისის რეფერატისა ნაფიცმა ვექილმა ა. ს. ფრენკელმა კავკასიაში რუსის მთავრობის მიერ ავაზაკობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ყოველთ უწინარეს ბ ნმა ფრენკელმა იმ გარემოებას მიაქცია ყურადღება, რომ თუ შევადარეთ ის წეს-რიგი ქვეყნის გამგეობისა, რუმელიც არსებობდა კავკასიელთათვის (ქართველები, თათრები, მთიელები, თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, ოსნი და სხვ.) საქართველოს მეფეთა, თათრის ხანთა და სპარსეთის შახთა დროს იმ წეს-რიგთან, რომელიც შემოღებულ იქმნა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დიდს განსხვავებასა ვნახავთო. მცხოვრებელთ სასტიკად, მტარვალურად ეპყრობოდნენ, ერი თუმცა მოუხეშავი, გაუნათლებელი დ̃ სასტიკის ზნე ჩვეულების მიმდევარი იყო, მაინც შიში ჰქონდათ სასტიკის მმართველებისა და ემორჩილებოდნენ იმათს ბრძანება-უფლებას. მაგალითებრ, თათრის ხანის ნება-სურვილი კანონი იყო; ვინც არ დაემორჩილებოდა ამ კანონს, უმოწყალოდა სცემდნენ, ყურებსა, თავსა და ხელ-ფეხსა სჭრიდნენ უკითხველადა და საქმის გამოუძიებლად. იმათს თვით-ნებობას საზღვალი არა ჰქონდა. ასევე იყო დაღესტანშიაც. მეორმოცდაათე წლებში ყაზი-კუმუხში ხანის ჟინის გამო იმისს უფლებასა ქვეშე მყოფნი საშინლად აწამეს: გახურებულის შანთებითა სწვავდნენ, მკერდზედ ცეცხლს უნთებდნენ, ხანდახან მოპარსულს თავზედ ცომისაგან გაკეთებულს ჯამს ადგამდნენ და შიგ მოდუღებულს ზეთს ასხამდნენ. ასევე სჩადიოდნენ თათრის ხანები ამიერ-კავკასიაში. ხოლო შემდეგ საქართველოში და თათრის სახანოებში უფლება შესუსტდა, რადგან მეფენნი და ხანნი ერთმანეთში ვერ მორიგებულიყვნენ და მაშინ, როდესაც რუსეთის მთავრობამ შემოდგა აქ ფეხი, ერი სრულიად თავ-შვებული და დაუმორჩილებელი იყო.

შემოდგა ფეხი რუსეთის მთავრობამ თავისის ჰუმანიურის აზრ-შეხედულებითა და საქმეთა ფრთხილის გამოძიებით.აი, რას ამბობს კავკასიის კარგად მცოდნე თავ. მ. ს. ვარანცოვი თავისს კავკასიის შესახებს წერილში, როდესაც აღნიშნავს, რა მდგომარეობაში დახვდა საქართველო რუსეთის აქ შემოსვლის დროს: „ქართველები ისე მისჩვევიან სასტიკს მმართვა-გამგეობას თავიანთ მეფეების მიერ, რომ ჩვეულებრივ დინჯი, მშვიდი და კანონზედ დაფუძნებული უფლება რუსეთის მოხელეთა უცნა-

---

სი. საუცხოვო რამ არის. აქ თქვენ თვალის წინ არის სახე, უტყუარი გამომეტყველება ახალგაზდა შეწუხებულ „პატარა პრინცისა“. ჰხედავთ და გაკვირვებული ხართ,—როგორ მოახერხა ფოტოგრაფმა ყმაწვილის ასე, ამ რიგად გაჩერება და, რაც უმთავრესია, რა გვარად შესძლო და სახე შეაცვლევინა. ამისთვის მართლა მეტად შესანიშნავი, დიდის გამოცდილების პატრონი და უტყუარ ხელოვნების მცოდნე ადამიანი უნდა.

ამავე განყოფილებაში აწყვია სხვა-და-სხვა გვარი ფოტოგრაფიული აპარატები და სათვალთ-მაქცო სანათური **(волшебный фонарь)**. უკანასკნელის გავრცელება დიდად სასარგებლოა საზოგადოდ. ამის ხმარებას სოფლის სკოლებში სოფლისავე საზოგადოების თვალის წინ და მასთანვე სჯა-ბაასს, ნათქვამის დასურათებას სათვალთმაქცო სანათურით ხალხის განმავითარებელი და ალმრზდელი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ჯერ თითქმის არავითარს ყურადღებას არ აქცევენ სათვალთ მაქცო სანათურის ხმარებას, რაც სამწუხაროა და არა-სასიამოვნო.

დანარჩენი ნიმუშები თითქმის სულ სხვა-და-სხვა სახის სასწავლებლებს ეკუთვნის, ამიტომ ცალკ ცალკე ხელოვნება-მეცნიერების შესახებ ლაპარაკს თავს დავანებებთ და გადავალ სასწავლებლებზე, ამასთანავე წარმოდგენილ ნივთების გამოც გვექნება ლაპარაკი.

უნივერსიტეტი. სამეცნიერო განყოფილებაში მონაწილეობას იღებს კიევის უნივერსიტეტის სამეტეოროლოგიო ობსერვატორია და სამეურნეო ლაბორატორია. უმთავრესი აზრი სამეტეოროლოგიო ობსერვატორიისა არის ამ მხრის გეოფიზიკურ განსხვავებათა შესწავლა. ამ ობსერვატორიის დანიშნულება თან და თან იზრდება, ობსერვატორიის მოქმედებაში დათმობილი აქვს ადგილი სამეცნიერო პრაქტიკულ ხასიათის საგნების შესწავლას ე. ი. რა დამოკიდებულება აქვთ მეტეოროლოგიურ ელემენტებთან სასოფლო-სამეურნეო ელემენტებს და ბალახების, დანათესის მოსავლის მდგომარეობას. ობსერვატორია ყურს უგდებს აგრეთვე ატმოსფერის ცვლილებებს მთელის წლის განმავლობაში და სხვ. კიევის სამეტეოროლოგიო ობსერვატორიას ეკუთვნის 600 სამეტეროლოგიო სადგური სამხრეთ რუსეთის სხვა და-სხვა გუბერნიებში. უმთავრესი საგანი ობსერვატორიის გამოფენაზედ მონაწილეობის მიღებისა მისის მოქმედების სოფლელ მეურნე—მეოჯახეთაგან გაცნობა იყო. ამიტომ გამოფენაზედ გარედ სამეცნიერო ფარდულთან ახლოს გამართულია სრული სამეტეროლოგიო სადგური, რომელიც განუწყვეტლივ ჰმოქმედობს. ობსერვატორიას წარმოდგენილი აქვს საკუთარი შრომა, დაწურვის **(давленіе)** დედა-მიწის ზურგზედ საერთო განაწილების რუქა, ასეთივე რუქა დედამიწაზედ ტემპარატურის და დანალექის განაწილებისა. ეს რუქები თვალ-საჩინოდ აჩვენებენ, რა დამოკიდებულობა აქვს ადგილობრივ მეტეოროლოგიურ ელემენტებს და იმავე ელემენტების დედამიწის ზურგზედ საერთო განაწილებას. როგორც სჩანს, ადგილობრივი ჰავა რომელისამე მხარისა არის ნაყოფი დედამიწის ზურგზედ მეტეროლოგიურ ელემენტების განაწილებისა, საინტერესოა ღრუბელთა სურათები, საერთაშორისო კომისიის გამოცემული. ღრუბლების ფორმის და მის გაჩენის დროს და ვითარების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სინამდვილით დარავდარის გამოსაცნობად და სამეცნიერო საგნების გამოსარკვევად. სამეურნეო ლაბარატორიის კვლევაძიებას სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო საგანი აქვს. ნიადაგის გასინჯვა სხვა-და-სხვა სიღრმემდის, რა დამოკიდებულობა აქვს ნიადაგს ჰაერთან, რამდენის გავლა შეუძლიან ჰაერს ნიადაგში, რა ნაყოფიერება აქვს ნიადაგს, რა ცვლილებას ახდენს ერთსა და იმავე სათესურზე ჰაერის და ნიადაგის ცვლილება, რა გვარი სასუქი სჭირია ამა თუ იმ მიწას—ყველა ამისთვის თავ-თავისი საკუთარი ხელსაწყო იარაღი აქვს ლაბორატორიას, რომელიც აქვე მაგიდაზედ აწყვია. გვერდით დალაგებულია მწყობრად ყოველ გვარის ნიადაგის ნიმუშები, მოგროვილი მთელს სამხრეთ რუსეთის მხარეში. სამეურნეო ლაბორატორიას შედგენილი აქვს რუქა სამხრეთ-რუსეთის ნიადაგის სხვა-და-სხვაობისა, სადაც ნაჩვენებია რომელ მხარეს რა სასუქი სჭირია მიწის გასაუმჯობესებლად. ყველა ზემოდ ნათქვამი თითონ გვეუბნება რა დიდია ამ დაწესებულების მნიშვნელობა სამხრეთ-რუსეთის მემამულეებისთვის და საერთოდ ხალხისათვის.

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურად ეჩვენებათ, რაც იმათის აზრით, შედეგია სისუსტისა, ვიდრე დიდსულოვნობისა. ბევრნი თავადთაგანნი ამბობენ, რომ საქართველოს მმართვა ისე არ შეიძლება, თუ არ სწრაფისა და სასტიკის სასჯელითაო. აუჩქარებლად ცნობათა შეკრება და კანონიერი გარდაწყვეტა საქმისა იმათ ვერ შეუშვნევიათ და ვერ აუტანიათ და ზოგიერთი იმას უფრო ადვილად მოურიგდება, რომ იმავე დღეს ყურები დასჭრან, ვიდრე რამდენსამე თვეს ზომიერს სასჯელს ელოდეს. თავად-აზნაურობას გლეხ-კაცობაზედ უკეთესი აზრი და შეხედულობა არა აქვს წესიერებასა და სამართლიანობის შესახებ*. ერთხელ თავ. ციციშვილს უნდოდა დაპატიმრება ერთის სოფლად მცხოვრებელის აზნაური შვილისა, ხოლო რადგან იმ სოფლად ჯარი არ იდგა, სთხოვა ზოგი ერთს მეზობელს იმ აზნაურშვილისას, თქვენ ხომ არ იკისრებთ იმისს დაპატიმრებასაო. იმათ უპასუხეს, რომ დაპატიმრებით ვერ დავაპატიმრებთ, ხოლო თუ გვიბძანებთ, თოფით მოვკლავთო... არცერთი ქართველი სასამართლოში არ წავა, თუ ძალით არ იქმნა წაყვანილი და, როდესაც სახლში ჰზის არხეინად, ვერ გაუგია, რად უნდა შევიწუხო თავი და წავიდე იქ, სადაც წასვლა არ მინდა, მხოლოდ იმიტომ რომ მიბარებენო!.. ერი მიეჩვია და მიეთვისა სასამართლოს სწრაფსა და სიტყვიერს, თუმცა სასტიკს-კი. ასეთს სამართალსა სთხოვდნენ ქართველები თავისს მეფეებსა და მდივან-ბეგებს.

(შემდეგი იქნება)

◆ ◆ ◆

თეატრის მატიანე

„გაცარცული ფოსტა“ დრამა 5 მოქმედ. ნათარგმნი ვ. აბაშიძის მიერ.

კვირას, 26 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ვ. აბაშიძის მიერ ნათარგმნი ხუთმოქმედებიანი მელოდრამა „გაცარცული ფოსტა“. ეს პიესა რამდენჯერმე ყოფილა დადგმული ჩვენს სცენაზედ, გაზეთებსაც დაწვრილებით განუხილავთ იგი და ამიტომ ამ მატიანეში იმის შინაარსს არ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ პიესა მთლად მოულოდნელ და უცაბედ შემთხვევებზედაა აკინძული და აზრს მოკლებულია. გარდა ამისა, პიესა მეტად ძველია, მან დიდი ხანია მოიჭამა თავისი დრო და იმის ეხლა ჩვენს სცენაზედ დადგმა არაფრად სასარგებლოა. მით უმეტეს შეუფერებელია იგი ეხლა ჩვენის სცენისთვის, რომ, რამდენადაც ვიცით, ქართულს რეპერტუარში მრავალი სხვა ჩვენის საზოგადოებისთვის უფრო შესაფერი თარგმნილი პიესებია. საჭიროა აწინდელის სეზონის გამგეთ შემდეგში მაინც მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და თუ ბევრად არა, ცოტად მაინც ხეირიანი და შესაფერი პიესები მიაწოდონ თეატრში მოსიარულე საზოგადოებას.

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, უნდა გამოვსტყდეთ, რომ ამ სეზონში ეს პიესა ყველაზედ სუსტად იყო ნათამაშევი. უპირველესს ყოვლისა პიესას თითქმის სულ არ ეტყობოდა რეჟისორის ხელი: არტისტებს არა ჰქონდათ კარგად ნაჩვენები, ვინ სად უნდა მდგარიყო, როდის უნდა გასულიყვნენ და შემოსულიყვნენ. ამიტომ არტისტები, განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში, დომხალივით აირივნენ და უთავბოლო შესვლა-გამოსვლით მთელი მოქმედება გააუგემურეს.

ორიოდეს გარდა, როლები, ხეირიანად არავინ იცოდა. განსაკუთრებით ეს დანაშაული არ ეპატიება კ მესხს, რომელიც ჯერ ერთი, რეჟისორია და, მეორე, უმთავრესის გმირის როლს ასრულებდა. როლის უცოდინარობის წყალობით, იმის საუკეთესო სცენას მესამე მოქმედებაში, სადაც მამასთან აქვს ლაპარაკი, ის შნო და ლაზათი აღარა ჰქონდა, როგორიც უნდა ჰქონოდა ამ არტისტის ხელოვნურის თამაშობისა გამო. საერთოდ პირველმა სამმა მოქმედებამ მეტად სუსტად ჩაიარა და მხოლოდ უკანასკნელი მოქმედებანი შეასრულეს ხელოვნურად როგორც კ. მესხმა, აგრეთვე ვ. აბაშიძემ და სხვათა. უნაკლულო იყო ამ საღამოს მხოლოდ ჩვენი ნიჭიერი არტისტი-ქალი მ. საფაროვ აბაშიძისა. იმისდა მიუხედავად, რომ მეტად მცირე და უმნიშვნელო როლი ჰქონდა, თავისის ნიჭიერის თამაშობით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. არა უშავდათ-რა აგრეთვე ქ-ნ კარგარელისას ჟანნას როლში და გარელისას იულიას როლში. ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ეს ორი ახალგაზდა არტისტი ქალი ძვირფას განძად შეიქმნებიან ჩვენი ღარიბის სცენისათვის. სხვა არტისტებ შორის უფრო კარგად შეასრულეს თავიანთი როლები გამყრელიძემ, გედევანოვმა და კანდელაკმა; განსაკუთრებით პირველმა კარგად ჩაატარა მესამე მოქმედებაში ის სცენა, სადაც შვილთან აქვს ლაპარაკი და სადაც ურჩევს, თავი მოიკალ, რომ თვითვე მოუღო ბოლო ავაზაკობითა და კაცის მკვლელობით შერცხვენილ სახელსაო.

წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

ი.

◆ ◆

წერილი დუშეთიდგან

ჩვენის მხრიდგან რაიმე სასიამოვნო ამბავი იშვიათია, ამ ხელად კი ჩემი წერილი ამ გვარი ამბით უნდა დავიწყო. ამ ცოტა ხნის წინად აქ მოვიდა სამრევლო სკოლების ზედამხედველის თანაშემწე და განზრახვა აქვს სოფელს ბაზალეთში სამრევლო სკოლა გამართოს. ამ საქმის შესახებ ბაზალეთის საზოგადოებამ კიდეც შეადგინა განაჩენი. ერთი გლეხ-კაცი სახლსა და სამს დღიურამდე ეზოს, სახლის გარშემო მდებარეს, 15 წლის ვადით უთმობს სკოლას უსასყიდლოდ.

მართალია, ბევრის მხრიდგან ისმის ჩივილი სკოლების უქონლობისა და ხალხის სწავლა-განათლების მხრივ დაქვეითების შესახებ, მაგრამ ისე მცირე რიცხვი სკოლებისა და ისე ძალიან უკან ჩამორჩენილი ხალხი, როგორც ამ მაზრის მცხოვრებნი არიან, არა მგონია სადმე იყოს საქართველოში. ნამდვილი და უტყუარი ცნობები რომ შეიკრიბოს წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის შესახებ, ასზედ 3—4 სული არ აღმოჩნდება წერა-კითხვის მცოდნე სოფლის ხალხში.

ამის გამო უფრო მეტის სიამოვნებითა და სიხარულითაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ საეპარქიო-სასკოლო საბჭოს ყურადღება მიუქცევია ჩვენის უკან ჩამორჩენილისა და დაქვეითებულის მხარისათვის.

ხალხის ზნეობრივად და გონებრივად დაწინაურების ნიშანი, სხვათა შორის, სკოლებისა და წიგნთ საცავ-სამკითხველოების რაოდენობაცაა. ამ მხრივ ვერაფერს სანუგეშო სურათს წარმოადგენს დუშეთის მაზრა თავისის შვიდი თუ რვა, ისიც მხოლოდ პირველ დასაწყისის, სკოლებით; წიგნთ საცავ-სამკითხველოებს აქამომდე მოკლებულები არიან არამც-თუ დაბა-სოფლები, თვით სამაზრო „ქალაქი“ დუშეთიც-კი, რომელიც მთელის მაზრის მეთაური და მაგალითი უნდა იყოს ყველა ამ გვარს საქმეში. ეს, რასაკვირველია, იმისი შედეგია, რომ დუშეთს არა ჰყავს საზოგადო მოღვაწეები, გულ-შემატკივრები, აქაურების უმთავრესი იდეალი ქეიფი და ღვინოში თავის ჩარჩობაა. ამის გამო მოკლებულები არიან კერძო თაოსნობას და უნარს, რომ რაიმე საზოგადო საქმეს სული ჩაუდგინ, ხელი შეუწყონ და ფეხი აადგმევინონ, ეს რომ ასე არ იყოს, ხომ დუშეთიც მაზრას ღირსეულად გაუწევდა მეთაურობას.

ეხლა აქაურებს განზრახვა აქვს დააარსონ წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რისთვისაც წესდება შემუშავებული და დასამტკიცებლად წარსადგენად დამზადებულია. ჩვენც მოულოცოთ დუშელებს, რომ წარმატება-განვითარების გზისკენ პირი იბრუნეს და ვუსურვოთ, რომ ამ გზას აღარ ასცდნენ.

აქ ზოგიერთები ჰშიშობენ, რომ ვაი თუ სამკითხველოს დაარსებით ადგილობრივს სამოქალაქო კლუბს წევრები შემოეცალნენ და დაიკეტოს კლუბიო. ჩემის ფიქრით, ეს შიში უსაფუძვლოა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას ამ შიშის გამო ტყუილად ვინმე შეუშლის ხელს, ჯერ იმის გამო, რომ ვისაც კლუბში სიარული და იქ გართობა ესიამოვნება, ის არც კვლავ დაიშურებს კლუბისთვის საწევრო ფულსა და კვლავაც ერთგული მოსიარულე იქნება იქ. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება კი რომ კლუბის არსებობას ანაცვალონ, ეს არც სასურველია და არც სასარგებლო, რადგან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მაგიერობას ვერ გაუწევს საზოგადოებას აქაური კლუბი თავისის ორი-სამის გაზეთით და ბანქო-ლოტო-ბილიარდით. თუ ამ შემთხვევაში ერთერთის ქონას უეჭველად მეორეს არ-ქონა უნდა მოჰყვეს, მაშინ, თქმა არ უნდა, უპირატესობა ისევ წიგნთ-საცავ სამკითხველოს უნდა დაეთმოს და არა კლუბს, რადგან, ჯერ ერთი ჩვენი კლუბი მაინც და მაინც ვერ დაიქადებს ვერც სასურველს წესრიგს და ვერც იმას, რომ იგი საზოგადოების ზნეობრივსა და გონებრივს განვითარების გზას ადგეს და ამ მხრივ რაიმე თვალ-საჩინო წვლილი ან შეეტანოს და ან შეჰქონდეს საზოგადოებაში; მეორეც, ვისაც კლუბის გართობა ვერ დაუთმია და ბანქო-ბილიარდის სათამაშოდ აშლილი საღერღელი შეაწუხებს, იმისთვის დუშეთის სამხედრო კლუბის კარიც ღიაა.

ამას წინად გაზ. „Новое обозр.“ აქაური ამბის მომწერი ჩიოდა დუშეთის მაზრის არა სასურველს მდგომარეობასა და უწესოებას, ხოლო ამ უწესოებას ავტორი უმთავრესად იმაში ჰპოებს, რომ სკოლაში ბადრიჯნიანი კასრი უხერხულს ადგილას სდგას და სკოლის ეზოში სარეცხი უფენიათ მასწავლებლებს.

ეს სკოლა მოთავსებული იყო ნახევრად დანგრეულს საქალაქო სახლში, რომელიც ყოველ წამს ჩამოქცევასა და სკოლაში მყოფთ ქვეშ მოტანასა ჰლამობდა, ეხლა ქალაქის თვითმმართველობამ ითავა სკოლის შენობის შეკეთების საქმე, რომელიც ჯერ არ დასრულებულა და ამის გამო არამც თუ ბადრიჯნიანი კასრი, შეიძლება სხვაც ბევრი რამე სკოლის ავეჯეულობა არ იყოს სკოლის შეკეთებამდე თავის ადგილას, მაგრამ ეს რა უწესოებაა? ნეტა გვიჩვენოს კორესპონდენტმა, სად არიან, ან რომელს სკოლას ამშვენებენ ისეთი მასწავლებლები, რომელთაც არც სარეცხი ექნებათ და არც რისამე გარეცხა-გაფენა დასჭირდებათ თუნდაც სკოლის ეზოში, ან ვიღას ეზოში უნდა გადაიტანონ და გაჰფინონ მასწავლებლებმა სკოლის სარეცხი(ამ სკოლაში პანსიონიცაა), თუ არ ისევ სკოლის ეზოში.

როგორცა სჩანს, კორესპონდენციის ავტორს რაც დაქცეულ-დანგრეულია, ის უფრო მოსწონს და ესიამოვნება, თორემ ვისიმე გაკიცხვა-გაკილვის მიზეზს არც სკოლის შეკეთება მისცემდა და არც აქაურის ეკკლესიის ბაღის ღობის შეკეთება, რომელიც აგრეთვე არ მოსწონს ავტორსა და ჩივის, რომ ბაღში ხალხი აქამდე თავისუფლად დასეირნობდა, ეხლა-კი კარები დაკეტეს და შიგ აღარავის უშვებენო, თუმცა ეს ბაღი არამც თუ არავის არ დაუკეტნია, აზრადაც არავის მოსვლია მისი დაკეტვა. მართალია, ეკკლესიის ეზო, ბაღის ღობე აქამდე მინგრეულ-მონგრეული იყო, ეხლა შეაკეთეს, ბაღიც გაასუფთავეს; ხალხი იქ ყოველთვის თავისუფლად დასეირნობდა და ეხლაც დასეირნობს, იმ განსხვავებით-კი, რომ ეხლა იქ ადამიანების მეტი ვეღარავინ შედის, წინად-კი, ბაღის შეკეთებამდე, ხალხი და პირუტყვები ერთმანერთში ირეოდნენ. თუ კორესპონდენტს ამ გვარი ყოფნა უფრო ესიამოვნება და ამის გამო სწუხს, შეუძლიან იმითი მაინც ინუგეშოს, რომ ამნაირი ადგილები სხვაგან ბევრია კიდევ ჩვენს კურთხეულს დუშეთში. ვიღაცა ცოცხალ-მკვდარი, უიარაღო თათრის შეპყრობაზედ ყურები გამოგვიჭედეს აქაურის წესიერების დამცველების გაზეთში ქებით, ამავე წესიერების დამცველთ-კი ღორები და მაწანწალა ძაღლები ვერ მოუშორებიათ ქუჩებიდგან.

ვგონებ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ როგორც გადაჭარბებულს ქებას გაზეთში, ისე უსაფუძვლო ბრალდებასა და კიცხვა-კილვას უფრო ცუდი გავლენა აქვს ყველაზედ, ვიდრე სკოლის დერეფანში დადგმულს ბადრიჯნიან კასრს და სკოლის ეზოში დაფენილს სარეცხს მოსწავლეებზედ.

გარეშე მაყურებელი

◆ ◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ბარის ოსები (კავკავის მაზრა). სწორედ საკვირველია აქაურის ქიშტების თავ-გასულობა და უშიშრობა. გვგონია, ან დღეს, ან ხვალ, ცოტა მაინც ხელს აიღებენ მარცვა-გლეჯისა და სხვა-და სხვა ავაზაკობისაგანაო, მაგრამ ისინი უფრო და უფრო უმატებენ და კი არ უკლებენ. სხვათა შორის, მარიამობისთვის გასულს და ენკენისთვის პირველ რიცხვებში აი რამდენი ავაზაკობა მოახდინეს ქიშტებმა. სოფ. ზათაყოზედ რვა ვერსის მოშორებით გერმანელების პატარა ახალშენია გაშენებული. აქ მიუცვივდნენ ქიშტები ღამე და დასტაცეს ცხენების ჯოგი. გამოუდგნენ მდევრად გერმანელები, ერთი ქურდთაგანი ქიშტი მოჰკლეს (თანვე გაიტაცეს ქიშტებმა) და ჯოგიც დაურჩინეს. გავიდა რამდენიმე დღე, მიუცვივდნენ ოცამდე მეტი ცხენოსანი ქიშტები ამავე გერმანელებს; შეამტვრიეს განსვენებულის გენერალის ეგლავას ნაქონი (ეხლა სხვის ხელშია) სახლის ეზოს კარი და დაუშინეს სახლს ბერდანები. ვინც იქა სცხოვრობდნენ, სულ დაიმალნენ. ქიშტებმა რაც რამე იპოვნეს, დახვეტეს და გაუდგნენ გზას. დღესაც ვერ უპოვნიათ იმათი კვალი.

გავიდა რამდენიმე დღე კიდევ და სოფ. ხუმლაგის ადგილში მიუცვივდნენ რკინის გზის დარაჯს, დაუშინეს ბერდანის თოფები და ბარძაყში მძიმედ დასჭრეს, რაც მოახელეს, წაიღეს და გაუდგნენ გზას. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და კავკავის ქვევით გერმანელების ახალშენთან რკინის გზის უფროსს შეუცვივდნენ, რაც რამე უპოვნეს ყველაფერი წაართვეს და გაუდგნენ გზას. ავაზაკების კვალი ქიშტების სოფ. ტოიყავში მიიტანეს. საკვირველია ქიშტების გაუტეხელობა. ბევრს მათგანს კიდეც ჰკლავენ, კიდეც ჰკარგავენ, მაგრამ მაინც არა ტეხებიან და არ იშლიან ავაზაკობას. უფრო საკვირველი კიდევ ის არის, რომ ოსებში ყველგან აღკრძალულია ბერდანის ხმარება და ქიშტები-კი ბერდანებით დათარეშობენ და ამტუტებენ აქეთ ოსეთის მხარეს. არავინ იცის, საიდგან ჰშოულობენ ამ თოფებს ეს თავზედ ხელ-აღებული ქიშტები...

ჯერ ამ ამბებზედ არ შეწყვეტილიყო მითქმა-მოთქმა და შიშის ზარი, რომ სხვა უარესი შემთხვევა მოხდა: საბრალო მთის ოსები, რადგანაც საქონლის საკვები საკმაოდ არა აქვთ, ზამთრობით თავიანთ ცხვრის ფარებს ბარად მიერეკებიან ხოლმე. წელსაც ჩვეულებისამებრ სანების სამრევლოდგანაც გარეკეს ცხვარი და გააკეთეს ფარეხები სოფ. არდონის მამულში. 20 ენკენისთვეს, როცა საბრალო მეცხვარეები ვახშამზედ ისხდნენ, თავს დაესხათ ოცდაოთხი ცხენოსანი ქიშტი და დაუყარეს სეტყვასავით ბერდანის თოფები. შეშინებული მეცხვარეები მიიმალ-მოიმალნენ, ოსურის თოფებისა და დამბაჩების მეტი არა ჰქონდათ-რა და ბერდანიანებთან აბა რას გახდებოდნენ. ავაზაკებმა ერთი მეცხვარე, გვარად სიდაუოვი, მკლავში დასჭრეს და სამასამდის ცხვარი გაირეკეს. გარეკილის ცხვრის კვალი მიიტანეს ტოის სოფელში (ქიშტის სოფელია). ფარეხებიდგან ამ გვარად ცხვრების გარეკა, შარშან და წელს თითქმის მოდად შემოვიდა აქეთ.

ენკენისთვის მიწურულებში სტანიცა არდონის ყაზახებს მიუცვივდნენ ჩვიდმეტი შეიარაღებული ცხენოსანი ქიშტი. ყაზახებმა ეს ამბავი წინადვე თურმე შეამჩნიეს, ჩაუსხდნენ ქიშტებს, დაუშინეს თოფები და ორი ქიშტი მოჰკლეს და ერთს ცხენი მოუკლეს, დანარჩენმა ქიშტებმა-კი თავს უშველეს.

საზოგადოდ ამ ჟამად ზარის ოსებისკენ ძალიან გახშირებულია ქურდობა-ავაზაკობა და ხალხში შიშის ზარი ტრიალებს.

სიმინდისა და ფეტვის მოსავალი მშვენიერია წელს ზარის ოსებში, კარიოფილს ხომ აღარ იციან რა უყონ. სიმინდის მტრევა კიდეც დაიწყეს.

ქართველი ოსებში

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „მწყემსი“ აუწყებს თავისს მკითხველებს, რომ ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ევთიმე ოქროპირის ძე კაჭახიძე ბერად აღკვეცილა და სიხარულით ეგებება რა ამ ამბავს, ასეთს სიტყვებს უწინამძღვრებს:

ვინც ჩვენს ეხლანდელ დროის სამღვდელოების და საზოგადოდ სასულიერო წოდების მდგომარეობას თვალს გადაავლებს, ვინც კარგად ჩაუკვირდება ჩვენი ეხლანდელ დროის ვითარებას და საზოგადო ასპარეზზე მუშაკთა შემცირებას, რასაკვირველია, გული მწუხარებით აევსება და იმედს დაჰკარგავს ჩვენის მომავალისას. ყოველის მხრივ გაისმის მწუხარება და ჩივილი, რომ აღარა გვყავს ნასწავლი კაცები შავ სამღვდელოებაში, აღარავინ აცხადებს სურვილს ბერად წასვლისას ნასწავლთაგანიო! ჩვენი მონასტრები, რომელთა წყალობით ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოება და ზნეობა მთელ მხარეს ეფინებოდა და ხალხის გულში მაგრად ფესვს იდგამდა, დღეს, თითქმის, ცარიელდება. იმ მონასტრებში, სადაც წინად ღვთის გალობა-ღაღადების ხმა ყოველ მსმენელს გულს უტკბობდა და ამაო ამ ქვეყნიერობის მწუხარებას უქარვებდა, იქ დღეს ერთად-ერთის მედავითნის გალობის ხმა ისმის მარტო და ისიც, ღმერთმან უწყის, რა კილოსია! ამაების შემხედვარეს, რასაკვირველია, გული გიწუხს და სასოწარკვეთილებას ეძლევი. მაგრამ ეს უკანასკნელი დრო რაღაცა წაღმა მობრუნდა ჩვენთვის. ჩვენ დაუვიწყარ მწყ^მ^-მთავართა მაგალითს წაჰბაძა რამდენმამე და გამოვიდენ ქრისტეს ყანაში სამსახურებლად, როგორც მაგალითებრ არქიმანდრიტი ლეონიდი, იღუმენი კირიონი და მღვდელ-მონაზონი დიმიტრი.

◆◆

რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ უმაღლესს სპეციალ სასწავლებლებში შემცირებულ იქმნას 5 წლის კურსი 4 წლამდე.

— საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან სამინისტოს სასწავლებლების დამაარსებელნი უნდა შეეთანხმნენ ხოლმე სასულიერო მთავრობის წარმომადგენელთ, თუ სამრევლო სასწავლებელია დაარსებული იმ ადგილას, საცა სამინისტროს სასწავლებლის დაარსებას აპირობენ.

— უმაღლესს მთავრობაში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ნაფიც ვექილები და მათი თანაშემწენი, თუ ამორჩეულნი არიან რომელსამე საზოგადო დაწესებულებაში მოხელედ, არა ჰკისრულობდნენ ჯამაგირიან ადგილებში სამსახურს, ან თუ იკისრებენ უსასყიდლოდ იკისრონ.

— საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებული კომისია ქარხნებში მომუშავე მცირე წლოვანთა შორის სავალდებულო სწავლაცოდნის შემოღების საქმის შესახებ მუშაობას დაიწყებს მომავალ იანვრის თვიდგან.

◆

უცხოეთი

—

გერმანია. ამ ბოლოს დროს გერმანიის მთავრობა მეტად სასტიკად ეპყრობა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს და ისე თვე არ გავა, რომ რომელიმე მათგანი არ დასაჯოს და საპატიმროში არ ჩასვას. ამ დღეებში, მაგალითად, ბრესლავის საპატიმროდგან განათავისუფლეს სამის თვით დამწყვდეული ადგილობრივის გაზეთის „Ernst Zahn“-ის რედაქტორი, რომელმაც აუწყა მკითხველებს, როგორ გაატარა საპატიმროში დრო და რას აკეთებინებდნენ იქ. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, რედაქტორს დღე-დამე ამუშავებდნენ თურმე: ის ვალდებული იყო, რომ დღეში ოთხი წნული სკამი მოემზადებინა. მეორე გაზ. „Emil Hevk“. რედაქტორმა შვიდის თვის განმავლობაში მთავრობას შვიდასი სკამი გაუკეთა. ეს კიდევ არაფერი; რედაქტორებს თურმე გაცილებით უფრო სასტიკად ეპყრობიან, ვიდრე სხვა ჩვეულებრ პატიმრთ. სწორედ დასაჯერებელი არც კია, რომ გერმანიაში, ევროპის ამ მოწინავე და განათლებულ სახელმწიფოში, ასე სტანჯავდნენ და აწვალებდნენ ქვეყნის გულ-შემატკივართ და ხალხისათვის თავ-დადებულს კაცებს. უბრალო დანაშაულობისთვის თავებსა ჰპარსავენ, ქურდებთანა და კაცის მკვლელებთან აპატიმრებენ და მათთან ერთად მძიმე ჯაჭვებით უბორკილებენ ფეხებს. პატიმარის ტანისამოსში ქუჩა-ქუჩა ატარებენ და ხშირად რამდენსამე დღეს საჭმელად პურსაც არ აძლევენ. უმეტესს ნაწილად მთავრობა სოციალისტთა და სხვა რადიკალთა გაზეთების რედაქტორებსა სდევნის ხოლმე; იმათთვის სულ უბრალო და უმნიშვნელო რამ საკმარისია, რომ ციხეში ამოაყოფინონ თავი და რამდენიმე თვე, ხშირად წელიწადიც, თავისუფლებას მოაკლონ. მთავრობის ამ გვარის საქციელით ამ ჟამად მთელის გერმანიის ჟურნალ-გაზეთები აღელვებულნი არიან. ამას წინად მომხდარ გერმანიის ჟურნალისტთა და მწერალთა მეხუთე კრებაზედ ამ საგანმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია წევრებს შორის. კრებამ შეადგინა ამის შესახებ პეტიცია და უკვე მიართვა იგი პარლამენტს, რომელიც ამ ახლო ხანში განიხილავს. პეტიციაში კრება სთხოვს პარლამენტს, რომ მან შესცვალოს აწ არსებული კანონები ჟურნალისტთა და მწერალთა შესახებ და ახალი შეღავათიანი კანონები გამოსცეს.

—

ოსმალეთი და საბერძნეთი. არ იქმნა, არაფერი ეშველა ოსმალეთ-საბერძნეთის ზავს. თვეები გადის და მოლაპარაკებას-კი დასასრული არ უჩანს. როგორც გაზეთები იუწყებიან, ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლები ვერ ჰრიგდებიან. ოსმალეთი სამხედრო ჯილდოს პირველ გადასახადს თხოულობს, ხოლო საბერძნეთს რაც არა აქვს, რას მისცემს. ამიტომ ოსმალეთმა ხელ-ახლად დაიწყო ლაპარაკი ფულის ნაცვლად მიწის დათმობის შესახებ. ოსმალეთი ჯერ ეხლაც არა ჰკარგავს თესალიის დაბრუნების იმედს. იგი დარწმუნებულია, რომ საბერძნეთი ფულს ვერ იშოვნის და იძულებული იქნება თესალიის ნაწილი დაუთმოსო. აშკარაა, ევროპის სახელმწიფოებს კიდევ მოუხდებათ ამ საქმეში ჩარევა და ვინ იცის რამდენი დრო გავა, ვიდრე საბერძნეთსა და ოსმალეთ შორის ატეხილს უთანხმოებას ბოლო მოეღება.

◆◆

დამაკვირდი

ცხოვრების საქულბაქოზედ ხშირად ჩვენთა ნაკლულევანებათა გამო უფრო მოვწონვართ, ვიდრე ღირსებათა გამო.

ლაროშფუკო

* * *

ყველა მახლობელი თავისა თვისისა თვითონვეა.

ტერენც

* * *

ვისაც მხოლოდ თავისი თავი უყვარს, იმას სიყვარულში მეტოქე არა ჰყავს.

ფრანგ. ანდაზა

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვარდედგან დეპეშით იუწყებიან: „ერთის გემის უფროსი ამბობს, რომ 11 სექტემბერს იზეფიორდენთან (შპიცბერგენის კუნძულზეა) ზღვაში დავინახე მოწითელო წაბლის ფერი საგანი და ვიფიქრე, გადაბრუნებული გემი უნდა იყოს მეთქი, ეხლა-კი ასე ვფიქრობ, რომ შეიძლება ის საგანი ანდრეს ჰაეროსტატი იყო. მეორე გემის უფროსმა სთქვა, იმავე დღეს და ერთის კვირის შემდეგაც იზეფიორდენთან ხმა მესმოდაო. ზოგნი ამბობენ, იქმნება ეს ხმა ადამიანისა-კი არა, ფრინველებისა იყოვო.

ქ. ქრისტიანიის ერთი გაზეთი სწერს: ვარდეს მცხოვრებლები დარწმუნებულნი არიან, რომ გემის უფროსის მიერ ნახული გემი სწორედ ანდრეს ჰაეროსტატი არისო. ვარდეს მცხოვრებნი ძლიერ აღელვებულნი არიან თურმე ამ ამბით. ცნობილი ნავოსანი სივერტ ბრეკმო იმ ადგილისაკენ მიდის გემით, სადაც ზემოხსენებულ გემის უფროსს ხმა მოესმა. კაპიტანმა სვერდრუპმა უთხრა ერთის გაზეთის თანამშრომელს, ჩემის აზრით, ყოვლად შეუძლებელია, რომ ის საგანი ანდრეს ჰაეროსტატი ყოფილიყოსო.

ვარდედგან უკვე მიდის ანდრეს საძებნელად კაპიტანი სივერტ ბრეკმო და თან 8 კაცი მიჰყავს. ამ კაპიტანს განზრახვა აქვს უეჭველად მივიდეს იმ ადგილას, სადაც ვითომ ხმა ისმოდა. თუ ყინვამ მოასწრო და გემმა ამ ადგილს არ მიაღწიაო, ამბობს ეს კაპიტანი, სამის კაცით მარხილებით წავალთ და პირველად მივალ დაუნას კუნძულზედ. თუ ვინიცობაა, ანდრე იქ ყოფილა, უეჭველია ამბავს რასმე დააგდებდა ამ კუნძულზედ გაკეთებულს კოშკში.

* * *

ეგვიპტეში ამ ჟამად არის ერთი ინგლისელი არქეოლოგი ფლინდერს პეტრი. ამ ინგლისელს უპოვნია ძველის ძველი ნაშთები, რომლებიც ეკუთვნის ქრისტეს დაბადებამდის 55 საუკუნეს. სხვათა შორის უპოვნია ადამიანის ჩონჩხები, ქრისტეს დაბადებამდე 3500 წლის წინად დამარხული. ამ ჩონჩხებთან ერთად დამარხული ყოფილა სპილოს ძვლის კოვზები, ამ ძვლისაგანვე გაკეთებული შუბები და მთელი კალათა სხვადა-სხვა იარაღით,—მაკრატლებითა, ჩაქუჩებით და სხვ.

* * *

ნიუ-იორკში გარდაიცვალა ამერიკის შეერთებულ შტატებში განთქმული მწერალი ჩარლზ დონა, გაზეთის „Sun“-ის რედაქტორი. ამ მწერალის ცხოვრება მეტად საყურადღებოა. უწინ ბ-ნი დონა ნოქრად იყო ერთს მაღაზიაში. მოცლის დროს გაზეთებსა და ჟურნალებს კითხულობდა და სწავლობდა. მერე რამდენსამე წელიწადს პროვინციების გაზეთებში სწერდა. 1847 წელს ბ-ნი დონა ნიუ-იორკში მივიდა და რეპორტერად დადგა გაზეთ „Tribun“-ის რედაქციაში, კვირაში სულ 20 მანათი ეძლეოდა ჯამაგირად. მაგრამ, როგორც ნიჭიერმა მწერალმა და ჭკვიანმა და მხნე კაცმა მალე მოიხვეჭა სახელი და 1867 წელს იყიდა გაზეთი „Sun“. ბ-ნ დონას წყალობით ეს გაზეთი მთელს ნიუ-იორკში საუკეთესო გაზეთად ითვლებოდა.

◆◆

სასამართლოს მატიანე

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა და ბ-ნის პლიუშჩევსკის საქმე.

ტფილისის რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია კერძო ვექილის კ. კ. პლიუშჩევსკის პასუხი შესახებ იმ თამასუქისა, რომლის ძალით ეს ვექილი თავ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონს 100,000 მანათამდე ფულს ედავება. ბ-ნი პლიუშჩევსკი სთხოვს ოლქის სასამართლოს გაასინჯვინონ თამასუქი მცოდნე კაცებს, მხატვრობის მასწავლებლებს და საიმპერატორო სახელოვნობო აკადემიის პროფესორებს. ბ-ნი პლიუშჩევსკი თხოულობს აგრეთვე, ამ თამასუქის გასინჯვა სასამართლოში მოხდეს, ჩემისა და მოპასუხის თანადასწრებითაო. მცოდნე კაცები თვით სასამართლომ აირჩიოსო და რადგანაც ეს საქმე მეტად საყურადღებოა, სულ ცოტა 11 მცოდნე კაცი მაინც უნდა იყოს არჩეულიო ექსპერტებად. რაც შეეხება ხარჯს ექსპერტების მოსაწვევად, ბ-ნს პლიუშჩევსკის უკვე წარუდგენია 500 მანათი.

გარდა ამისა ბ-ნი პლიუშჩევსკი სთხოვს სასამართლოს, თუ მოპასუხის თხოვნა შეიწყნარეთ და ბ-ნი მახნაჩოვი მოწმედ დაიბარეთ, გთხოვთ ამ საქმისავე შესახებ ეკითხოთ, მოწმეებს ივ. ალ. გრიგორიევს და ნატარიუსს ა. ი. პოლტარაცკის. დასასრულ ბ-ნი პლიუშჩევსკი ამტკიცებს, 26 წლის განმავლობაში იმდენი საქმე გამიკეთებია განსვენებულ თავ. ი. კ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონისთვის, რომ სრულებით საკვირველი არ არის, რომ ეს თამასუქი მომცაო და ჩამოთვლილია თვით ეს საქმეებიც.

პასუხი ბ-ნის პლიუშჩევსკისა მეტად ვრცელია. ამ პასუხის დაბეჭდვა ამ ჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგანაც ეს საქმე სასამართლოში განირჩევა თავის დროზედ და მაშინ საქმის ყოველსავე გარემოებას ვაუწყებთ მკითხველებს.

◆◆

გამოსადეგი ცნობა.

საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალებში აღნიშნულია რამდენიმე ადვილი და კარგი საშუალება დიდის ხნით ხილის შესანახისათვის. ძლიერ კარგად ინახება თურმე ყოველგვარი ხილი, აბრეშუმის ქაღალდში რომ შეახვიოთ, ან კიდევ ნაძვის ვიწრო და გრძელ ბურბუშელაში. უფრო დიდის ხნით შეინახება ხილი, ჯერ რომ აბრეშუმის ქაღალდში შეახვიოთ და მერე მშრალისა და ძლიერ წვრილის ქვიშით სავსე ყუთში ჩაალაგოთ. დანარჩენი საშუალება არც ერთი არ ვარგა. თივაში შენახულ ხილს ბალახის სუნი ეცება და ხილიც ლპება. ლპება ხილი აგრეთვე ნახერხშიაც. წვრილსა, მშრალსა და სუფთა ქვიშაში კი ხილი 9—10 თვეს კარგად ინახება, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი. საჭიროა მხოლოდ რაც შეიძლება იშვიათად ასხდოთ ხოლმე ყუთს ხილის ამოსაღებად.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 ოქტომბერი.

პეტერბურგი. 26 ოქტომბერს აკურთხეს სახელოვანის ჯარა—ექიმის პიროგოვის სახელობაზედ დაარსებული მუზეი.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის გაზეთების მოლოდინი, რომ ზავის პირობა ხვალ უკვე ხელ-მოწერილი იქმნებაო,—არა მართლდება. საბერძნეთის დელეგატები დარწმუნებულნი არიან, რომ ზავის საქმე რამდენისამე დღის შემდეგ გადაწყდება.

წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას უცხადებ ქუთაისის ქართველ ნოქრებს, რომელთაც გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ დაარსებულ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შემოსწირეს 1400 ეგზემპლიარი ,,სულ მნათის გაბრიელის საუნჯე,“ გამოცემული ქუთაისის ქართველ ნოქრებისაგან.

ბიბლიოთეკის გამგე ელენა ჯინოვისა

◆◆

განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ
ГЛИЦЕРИНОВОЕ
МЫЛО.



(11—მ.—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ	8	20
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ნ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძალლი	„	30

Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Октября 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.